



ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება

ქალაქი ახალციხე

N 2

18/01/2019

ახალციხის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სამცხე-ჯავახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია“-ს დაფუძნების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტისა და 106¹-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიას, სამცხე-ჯავახეთის მხარეში შემავალ მუნიციპალიტეტებთან (ადიგენი, ასპინძა, ახალქალაქი, ბორჯომი, ნინოწმინდა) ერთობლივად, დააფუძნოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „სამცხე-ჯავახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია“.
2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში. (მის: ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ. N62).

გელა ნოზაძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო

